სარეგისტრაციო წარმოებაშეჩერებული შპს „ჯეო გადამამუშავებელი“ ტყვიის, აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამუშავებას კვლავ გეგმავს (?!)

„ალიონი“. გაზეთ „ალიონის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულია შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ განცხადება სოფ. ლიხაურში ფერადი ლითონის ჩამოსხმის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაციის შესახებ. წარმოგიდგენთ მოკლე მიმოხილვას ამ საწარმოს საქმიანობის შესახებ.

შპს „მანსაროვარ“-ი 2010 წლის 7 ივლისს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომლის მისამართია: ოზურგეთის რაიონი, სოფ. ლიხაური (თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე ტერიტორია, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარკვეული მოსაზრებით გადაეცა სოფელ ლიხაურს). აღნიშნული შპს დამფუძნებლები 50-50 %-იანი წილით არიან ინდოეთის მოქალაქეები ერვინდ კუმარ შარმა და აშვანი მიტტალ. აღნიშნული შპს-ს გააჩნია არასასოფლო-სამეურნეო 31 797,00 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი და ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ადმინისტრაციული შენობა, ქარხნის კორპუსი და სხვა დამხმარე ნაგებობები.

შპს „ჯეოგადამამუშავებელი“ 2011 წლის 4 მაისს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. აღნიშნული შპს-ს დამფუძნებელი შპს „მანსაროვარ“-ის 50 %-ის წილის მფლობელი ერვინდ კუმარ შარმაა. აქ იგი 100 პროცენტიანი წილის მმართველია. დირექტორად ასევე ინდოეთის მოქალაქე ამანპრიტ სინგ ბჰალლაა. აღნიშნულ შპს „მანსაროვარ“-იდან აქვს იჯარით გარკვეული ფართი აღებული. შპს „ჯეოგადამამუშავებელი“ ტყვიის, აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამუშავებას ახდენდა.

შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ მიერ კუსტარულად ტყვიის გადამუშავების გამო პროტესტს გამოთქვამდა ადგილობრივი მოსახლეობა, რის შესახებაც არაერთი სტატია დაიბეჭდა ადგილობრივ მედიაში, შესაბამისი პოზიციები დააფიქსირეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა.

წარმოგიდგენთ გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნებული სტატიების ჩამონათვალს: „ადნობენ თუ არა ტყვიას კუსტარულად ყოფილ მანქანათმშენებელ ქარხანაში“(№41,42, 2014 წ; ვებ-გვერდი alion.ge); „ააშენებენ თუ არა ოზურგეთში ტყვიის ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოს“ „ტყვიის ნარჩენები განსაკუთრებით მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე და მოზარდებში იწვევს გონებრივი განვითარების შეფერხებას“; „დღეისათვის ქვეყანაში მოქმედ ტყვიის სადნობ მცირე საწარმოებში მზადდება ძალზე დაბალი ხარისხის ტყვიის ნადნობი, ხოლო მათ მუშაობასთან დაკავშირებული გარემოს დაბინძურების რისკი მაღალია (№47,48, 49, 2015 წ.); „აშენდება თუ არა ტყვიის გადამამუშავებელი საწარმო ოზურგეთში?“ (№4, 2016 წ.); „შანტაჟისთვის გამიზნული ტყვია“ (№6, 2016 წ.).

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ანგარიშის მიხედვით „შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი”-ს მიერ დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ლიხაურში არსებულ, ყოფილი ოზურგეთის

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №11 (10152), 14 მარტი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

ხანძარი ანასეულში

ალიონი. 10 მარტს, ქალაქ ოზურგეთში, ანასეულის ტერიტორიაზე ცეცხლი 20 ჰექტრამდე ფართობს ეკიდა. ხანძარი ლიკვიდირებული იქნა. მოსახლეობას საფრთხე არ დამუქრებია. ადგილზე მობილიზებული იყო გურიისა და ქობულეთის შსს-ს საგანგებო სიტუაციების სამსახურის სამაშველო სახანძრო ბრიგადები.

ხანძრის პირველივე წუთებიდან ადგილზე გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, ქალაქ ოზურგეთის მერის მოადგილეები ალეკო ბურჭულაძე და კობა დუნდუა, გურიის შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი პაატა ლომთაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ხანძარი ამ დღეს დაბა ნარუჯის მე-6 რაიონშიც დაფიქსირდა.

გამოაკრავენ თუ არა ისტორიულ სასახლეზე „ნაცმოს“ საარჩევნო შტაბის აბრას

ალიონი. საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერის ზვიად კვაჭანტირაძის მიერ სოციალურ ქსელში 9 მარტს გამოქვეყნებულ პოსტს „ალო, ოზურგეთი, გურია“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

„არ ასვენებს გაჩენი ზოგიერთ შატალოზე მყოფ პარლამენტარს, არც ყოფილი გუბერნატორების ზოგიერთ ყოფილ მოადგილეებს და წარმოიდგინეთ არც ზოგიერთ ღვთისმსახურს, ყველას სიყვარულს რომ იტევს გულში, მას რომ კითხო. smile ემოცია. იმედია მაგ ისტორიულ სასახლეზე, რომელიც ერმა დიდსულოვნად დაგითმოთ ნაცმოს საარჩევნო შტაბის აბრას არ გამოაკრავთ და შიგნით მართლა შტაბს არ გამართავთ. დანარჩენს მოვუვლით და შეცდომებს აღარ დავუშვებთ“, – წერს კვაჭანტირაძე.

წერილი ეხება გორთაფონის მამამთავართა სახელობის მამათა მონასტერში გურიის ყოფილი გუბერნატორის რამაზ ნიკოლაიშვილისა და ყოფილი ვიცე გუბერნატორის ლელა თავართქილაძის სტუმრობას. ფოტოკოლაჟი დადებულია შემოქმედის ეპარქიის ფეისბუკგვერდზე. გამოქვეყნებულ 16 სურათიდან ექვსში ფიგურირებენ გურიის ყოფილი გუბერნატორი რამაზ ნიკოლაიშვილი და ყოფილი ვიცე-გუბერნატორი ლელა თავართქილაძე , სასულიერო პირებთან – მეუფეებთან ერთად.

რამდენიმე წუთში საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი კიდევ ერთ პოსტს დებს:

„ახლახანს შემატყობინეს, რომ აღნიშნულ შეხვედრას ოზურგეთში ესწრება ჩემთვის უაღრესად საპატივცემულო მეუფე საპატრიარქოდან, რომელსაც მართლა ძალიან დიდ პატივს ვცემ და რომლის მიმართ დიდი მოწიწება გამაჩნია, დამსახურებულად. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ იქ, სადაც ის იმყოფება მხოლოდ სიკეთე სუფევს. არ მინდა მას იოტისოდენად მაინც გული ვატკინო და გულწრფელად ბოდიშს ვუხდი, თუ რამე უხერხულობა შევუქმენი“.

კვაჭანტირაძის ამ პოსტს გაზეთ „გურია ნიუსის“ საშუალებით იმავე დღეს გამოეხმაურა შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი მეუფე იოსები:

„ჩემი კარი ღიაა ყველა ადამიანისთვის. დღეს ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანები, მეუფეები მესტუმრნენ რამაზ ნიკოლიშვილთან ერთად და რა არის იმაში გასაოცარი, რომ მივიღე?

თუ ბატონი ზვიადი მესტუმრება, მასაც დიდი სიყვარულით მივიღებ და ვუმასპინძლებ. მე ეპარქიის წინამძღვარი ვარ და ადამიანებს პარტიული ნიშნით არ ვარჩევ. ეკლესია არ ერევა პოლიტიკაში“.

ზვიად კვაძანტირაძე დამატებებითი განმარტებებისგან თავს იკავებს:

„პატივცემულო პრესა,: დამატებით განმარტებებს არ ვაკეთებ. ტყუილად არ შეიწუხოთ თავი. მეტს არაფერს ვიტყვი. ვიცი, ადრესატებმა უკვე მიიღეს მესიჯი და ჩემი ამოცანაც ეს იყო“,

თუმცა, მეტი რა დამატებითი განმარტებები უნდა გაეკეთებინა, როცა ამბობს:

„თავხედობენ ყოფილები. კვლავ "აცდუნებენ" ღვთისმსახურებს... ვატირებთ ცხარე კურცხლით!“

შორს ვართ იმისგან, რომ არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია (არც გვინდა გაგვაჩნდეს) ეჭვი შევიტანოთ მეუფე იოსების სიტყვებში „ეკლესია არ ერევა პოლიტიკაში“, მაგრამ პირველ რიგში პოლიტიკოსებმა არ უნდა ითავხედონ და არ უნდა გამოიყენონ სასულიერო პირები კონკრეტული პოლიტიკის გასატარებლად. ეს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს როგორც ეკლესიის წინამძღვარებს, ისე მრევლს, მოსახლეობას.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ცვლილებები და დამატებები ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში

საფეხბურთო კლუბ „მერცხალისთვის“ 2016 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებიდან დარჩენილი სუბსიდიის რესურსი 345 340 ლარი ეტაპობრივად მიიმართა ახალი ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 მარტის სხდომაზე დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2015 წლის 30 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცლილებების შეტანას

როგორც ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა მარიკა ნაცვალაძემ აღნიშნა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №56 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებულ ბიუჯეტში საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

2016 წლის 25 თებერვლის საქართველოს მთავრობის №293 განკარგულების თანახმად, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს (მდინარე ბაზრისწყალზე ნაპირსამაგრი ჯებირის ასაგებად, ასევე დიმიტრი ბაქრაძისა და მალაზონიას ქუჩების მიმდებარედ ნაპირდამცავი გაბიონებიის მოსაწყობად) გარდამავალი პროექტებისათვის გამოეყო 838 879 ლარი. აღნიშნული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხა ასახული იქნა 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს, რომლის საფუძველი გახდა ფინანსთა სამინისტროდან 1 273 140 ლარზე მიღებული 2015 წლის 13 ივლისის საგარანტიო წერილი №04-02/72860. ამან გამოიწვია ცვლილება საგარანტიო წერილსა და განკარგულებას შორის, რისთვისაც საჭიროა ცვლილებების განხორციელება ბიუჯეტში შემდეგ პროგრამულ კოდზე: 03 02 04 – კეთილმოწყობის სამუშაოები – შემცირდეს 434 261 ლარით (არაფინანსური აქტივების მუხლით);

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის №107 დადგენილების მე-3 მუხლის 3. გ ა დ ა გ ბ პუნქტების საფუძველზე, საჭიროა განხორციელდეს ცვლილებები 05 00 პრიორიტეტში - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – დაემატოს ახალი პროგრამული კოდი – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მხარდაჭერა, რისთვისაც ა(ა)იპ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალისთვის“ 2016 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებიდან დარჩენილი სუბსიდიის რესურსი 345 340 ლარი ეტაპობრივად მიიმართოს ახალი ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე (გრანტის) სახით.

ქალაქის საკრებულოს სხდომაზე განხილული და დამტკიცებული სხვადასხვა საკითხები

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2016 წლის 11 თებერვლის №9 განკარგულებით დამტკიცებულ №1 და №3 დანართებში.

სხდომაზე მიღებული განკარგულებით, თანხმობა მიეცა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონები - ს/კ 26.26.55.151 (126 კვ. მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა №1); ს/კ 26.26.55.160 (89 კვ. მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) და ს/კ 26.23.55.159 (91 კვ. მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი); ს/კ 26.26.55.162 (187 კვ. მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) გაერთიანოს ერთ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად, ერთ ქონებად, მათზე არსებული ვალდებულებების უცვლელად.

მიიღეს დადგენილება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ურბანული განვითარების, მშენებლობის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ;

ცვლილებები შეიტანეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №13 დადგენილებაში;

დაამტკიცეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება;

მოისმინეს ანგარიში ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2015 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ;

მხარი დაუჭირეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას „მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად;

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ქალაქ ოზურგეთის საკრებულოში ფრაქცია „ძლიერი თვითმართველობისათვის“ შექმნის შესახებ.

ქ. ოზურგეთის №5 საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა

2015-16 სასწავლო წელს ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლაში ჩატრდა მთელი რიგი სარემონტო სამუშაოები: შეიცვლა 68 ფანჯარა; მოხდა სპორდარბაზის სრული რაებილიტაცია; აღდგა კიბე შენობის მარჯვენა მხარეს; შეიცვალა შემოსასვლელი კარები (3 ცალი) შებათქაშდა სკოლის უკანა კედელი (3 სართული).

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებთა და ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანადგომით სარემონტო სამუშაოები შეასრულა ინდმეწერმე გოჩა ერქომაიშვილმა და შპს "ზაზომ."

სკოლის დირექცია მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირეოდენი წვლილი მაინც შეიტანა ამ კეთილშობილურ საქმეში.

ქეთევან ქადეიშვილი,
ქ. ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მადლობა და თხოვნა

ანასეულის მეცნიერების ქ. №31 საცხოვრებელი სახლის (ტიტანიკის) მობინადრეები მადლობას ვუხდით ქალაქის მერიას, ბ-ნ ბეგლარ სიორიძეს, დეპუტატ ლავრენტი ბიგვავას და ყველა მშენებელს ბინის მაღალხარისხიანად გადახურვისათვის. ასეთი სახურავისთვის შეუფერებელია ამდენი ხნის მანძილზე ნაწვიმარი და ჩამონგრეული ფასადი. თხოვნაა და იმედს გამოვთქვამთ რომ მერია დაგვეხმარება ამ საკითხის მოგვარებაშიც.

№31 საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა სახელით
გაბრიელ გოგოლაძე

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასები ქალაქ ოზურგეთში

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 7 მარტის სხომაზე დამტკიცდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასები. საკრებულოს შესაბამისი დადგენილების თანახმად, იგი შეადგენს: **ქალაქის ცენტრალურ ნაწილში – 50 ლარს, შუალედურ ნაწილში – 30 ლარს, პერიფერიულ ნაწილში კი – 25 ლარს.**

სარეგისტრაციო წარმოება შეჩერებული შპს „ჯეო გადამამუშავებელი“ ტყვიის, აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამუშავებას კვლავ გეგმავს (?!)

ექსპერიმენტალური მანქანათმშენებელი საწარმოს შენობა-ნაგებობებში, რომელიც ივჯარით აქვს აღებული შპს „მანსაროვარი“-სგან, ფერადი ლითონის ჩამოსხმის საწარმოს-აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საქმიანობის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორებისა და სხვა ტყვიის შემცველი ჯართისგან სუფთა ტყვიის მიღება გეგმიური წლიური მოცულობით 15 000 ტონა. საწარმოში ასევე დაგეგმილია აკუმულატორების დამსხვრევის დროს წარმოქმნილი სხვა ნარჩენების (პოლიპროპილენი, პოლიეთილენი, პ.ვ.ქ) გადამუშავება და მეორადი ნედლეულის ნახევარფაბრიკატის დამზადება.

აკუმულატორების ჯართის უტილიზაცია წარმოადგენს მეორადი ლითონშემცველი ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების მნიშვნელოვან პროცესს. მას საფუძვლად უდევს, ერთის მხრივ, ტყვიისა და მისი ნაერთების განთავსებისას გარემოსათვის მაღალი ეკოლოგიური საშიშროება და მეორეს მხრივ კი, ტყვია-მჟავა აკუმულატორების გამოყენების მასშტაბები - მსოფლიოში აკუმულატორებზე წარმოებული ტყვიის 65%-ზე მეტი იხარჯება.

შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი"-ს აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების

გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობით ქვეყანაში გარკვეულწილად გადაწყდება

გამოყენებული აკუმულატორების უტილიზაციის პრობლემა. დღეისთვის ქვეყნაში მოქმედ ტყვიის სადნობ მცირე საწარმოებში მზადდება ძალზე დაბალი ხარისხის ტყვიის ნადნობი, ხოლო მათ მუშაობასთან დაკავშირებული გარემოს დაბინძურების რისკი მაღალია (მავნე ნივთიერებათა ემისიები, ტყვიის ოქსიდის მაღლი შემცველობის წიდის წარმოქმნა და სხვა).

შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი"-ს დაგეგმილი აქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საწარმოს მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ტყვიის ნადნობის მიღებას გარემოზე მინიმალური ნეგატიური ზემოქმედების გზით; კერძოდ: წიდაში ტყვიის შემცველობა იქნება 2-2,5%-ზე ნაკლები, ხოლო უახლესი აირგამწმენდი სისტემის გამოყენებით შესაძლებელი იქნება მავნე ნივთიერებათა ემისიების 99.85%-ით შემცირება.

საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვება დაგეგმილია 2016 წლის IV კვარტალში. შ.პ.ს. „ჯეოგადამუშავებელი"-ს საქმიანობა აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენებიდან სუფთატყვიის მიღებასთან დაკავშირებით გაგრძელდება 20-25 წლის მანძილზე მაინც.“

რა პრეტენზიები აქვს ქალაქ ოზურგეთის ექადიის, ანასეულის და სხვა უბნების, თემების მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის მოსახლეობას „ჯეოგადამამუშავებელთან:“

1. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ ხელმძღვანელობა უარყოფს ჟურნალისტების მიერ სათანაო ჩანაწერებით დადასტურებულ ფაქტს, რომ „ჯეოგადამამუშავებელი“ პერიოდულად ოზურგეთის ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე ტყვიის კუსტარულად დამუშავების ფქტებს, მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ტყვიის გადადნობის პროცესი საშიშია მათი ჯანმრთელობისთვის. არერთმა ადამიანმა დაადასტურა, რომ ტყვიის გადადნობის პროცესი უქმნიდა მათ სუნთქვით და სხვა პრობლემებს;

2. შარშან, ოქტომბერში საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირმა „ორქისმა“ მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში სემინარი ჩაატარა, სადაც მათ აღნიშნეს, რომ ოზურგეთში მდინარე აჭისწყლის იმ მონაკვეთიდან, სადაც მას შენაკადი უერთდება (შპს „ჯეოგდამამუშავებელიდან“ 200 მეტრი), ვიდრე ყოფილი საავადმყოფოების ტერიტორიამდე აჭისწყალსა და ბჟუჟში ტყვიის შემცველობა მაღალია (იხ. ჟურნალი „სუფთა გარემო, ჩვენი არჩევანია!“ №4, 2014 წ.) ოზურგეთში, მდინარე ბჟუჟში ტყვიის შემცველობა 58 ერთეული იყო, როდესაც ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზედა ზღვარი) 32 შედგენს.

3. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციტივით გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც დაინტერესებული მხარეები, ხელისუფლებისა და მოსახლეობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ-ცენტრალური საამმართველოს ინსპექტირების მთავარმა ინსპექტორმა ირინე ლომინაძემ განაცხადა: „სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ექადიის ტერიტორიაზე დაკლული ოთხი სხვადასხვა საქონლის ხორცის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების დროს, ხორცში ტყვიის ჭარბი რაოდენობაა აღმოჩენილი და არ არის გამორიცხული, რძის პროდუქტებშიც აღმოჩნდეს ტყვია, რაც თავისთავად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.“

4. დაბა ურეკსა და შეკვეთილში წყლის ახალი სისტემა გაჰყავთ, რომლის სათავე ნაგებობა სოფელ მერიაში, მდინარე ნატანების აუზში იქნება. იმ შემთხვევაში თუ ტყვიის წარმოება განახლდება და მდინარის დაბინძურების საშიშროება კვლავ იქნება, კითხის ნიშნის ქვეშ დადგება 73-მილიონიანი პროექტი.

5. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ-ცენტრალური სამმართველომ წელს, ოზურგეთის ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოების გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესწავლა განახორციელა.

მათი ინფორმაციით, შპს „მანსაროვარს“ და შპს „ოზურგეთის მძიმე დანადგარები“-ს დარღვეული აქვთ გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რაზედაც შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 82-2 მუხლის პირველი ნაწილით. შპს „მანსაროვარი“ მიწისქვეშა ჰორიზონტიდან წყალმომარაგებას ეწეოდა შესაბამისი წიაღითსარგებლობის ლიცენზიის გარეშე, მის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57-1 მუხლით, დაითვალა წიაღისეულის უკანონო სარგებლობით გარემოზე მიყენებული ზიანი. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაცემული აქვს ოზურგეთის მაგისტრს სასამართლოს. რაც შეეხება შპს „ჯეოგადამამუშავაბელის“ საქმიანობას, შესწავლა-დათვალიერებით ამ ეტაპზე არ იქნა აღმოჩენილი აკუმულატორების გადამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობები და ტყვიის სადნობი ღუმელი, თუმცა საკითხის შესწავლა გრძელდება და დაწესებულია მკაცრი კონტროლი.

2016 წლის 15 თებერვლის ინფორმაციით შპს „ჯეოგადამამუშავებელი“ სოფ. ლიხაურში, შპს „მანსაროვარისაგან“ ივჯარით აღებულ შენობაში, ახორციელებს სახიფათო ნარჩენების (ვადაგასული აკუმულიატორების) შესყიდვასა და დროებით განთავსებას. საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-4 მუხლის თანახმად, სახიფათო ნარჩენების აღდგენა, განთავსება, წინასწარი დამუშავება და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა განეკუთვნება ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

შპს „ჯეოგადამამუშავებელს“ საქმიანობაზე არ აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. მის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79-1 მუხლით. მსალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს...

ჩვენი ინფორმაციით, შპს „მანსაროვარმა“ თხოვნით მიმართა ოზურგეთის „სერვისცენტრს“ დახმარებოდა სახიფათო ნარჩენების მერიის ნაგავსაყრელზე გადატანაში, რაზედაც უარი მიიღეს.

P.S. 11 მარტს საჯარო რეესტრის საგენტოში მოპოვებული ინფორმაციით შპს „ჯეოგადამამუშავებელს“ გადაწყვეტილება № 882014500165-03 (25.09.2014) შეჩერებული აქვს სარეგისტრაციო წარმოება; გადაწყვეტილება №882014500165-04 (12.01.2015) შეწყვეტილი აქვს სარეგისტრაციო წარმოება. გადაწყვეტილება გამოქვეყნებისთანავე შესულია ძალაში. გასულია 30 დღიანი გასაჩივრების ვადაც (?!).

„სუფსამ წაიღო ჩვენი სავარგულები, გვიშველეთ...“

ალიონი. 9 მარტს, სოფელ ბაილეთში სოფლის მხარადამჭერი პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის წარმომადგენელთა კრება გაიმართა.

უნდა აღინიშნოს, რომ კრებას 30-მდე ბაილეთელი ესწრებოდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელმა სპარტაკ მამულაიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სოფლის მოსახლეობა გაფრთხილებული იყო კრების შესახებ, სავარაუდოდ მათი პასიურობა კარგი ამინდით და საგაზაფხულო სამუშაოებით იყო განპირობებული, თუმცა სოფლის ყველა უბანს ჰყავდა კრებაზე წარმომადგენლები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა და შემდეგ სთხოვა კრების მონაწილეებს დაესახელებინათ სოფლის საჭიროებისათვის აუცილებელი პროექტები, რომელთა განხორციელება იყო შესაძლებელი.

ბაილეთელმა დავით ჯალაღანიამ სოფლის გასაჭირზე ისაუბრა: – სოფელს გვერდით ჩაუდის ბუნებრივი აირის მილები, მაგრამ გაზიფიცირება არ ხდება; სუფსის ხეობაში ქვა-ღორღის ინტენსიური მოპოვებისაგან, სოფელი კარგავს ჰექტრობით საყანე ფართობებს; ამ დროს მდინარის აუზში რომ ერთი „ჯაჩანკა“ სილა ამოიღო სასაფლაოზე მისატანად დაგავკარიმენ; ასევე პრობლემაა ხის მოჭრაც;

ბიძინა დარჩია, გეოლოგი:– სოფელში მგელებმა ერთ დღეს 7 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გაანადგურა, მეორე დღეს-2. მოსახლეობამ მტაცებელი მოკლა და გარემოს დამცველები დავკარიმებას უპირებენ...

სოფლის საბავშო ბაღის გამგე როენა ზაქარიაძემ საბავშო ბაღის რემონტი ითხოვა; სოფლის ცენტრში ერთ მონაკვეთზე მეწყერსაწინააღმდეგო გაბიონის მოწყობა და გარე განათების ლამპიონების დამატება ითხოვეს...

მერაბ ჭანუყვაძე: –სოფელ ბაილეთს ღირსეული გამგებელი და დეპუტატი ჰყავს. ჩემთვის ბაილეთელთა ყველა პრობლემა ცნობილია. წელს ვერ ვახერხებთ და 2017 წელს აუცილებლად მოხდება სოფლის ცენტრთან დამაკავშირებელი გზის ასფალტირება; წელს შიდა გზებს მუნიციპალიტეტი შეაკეთებს; კარიერების გახსნა ადრე მუნიციპალიტეტის ნებართვის გარეშე ხდებოდა. ახლა, ჩვენ უფლება გვაქვს და სხვადასხვა ფირმებს და კომპანიებს უარი ვუთხარით ახალი კარიერების გახსნაზე აჭის, ბჟუჟის, ნატანების და სუფსის ხეობებში; სამწუხაროდ, მდინარე სუფსაზე გაბიონების მოწყობა ეფექტს არ იძლევა და სხვა სახის პროექტები მეტად ძვირადღირებულია; თავდასხმების შემთხვევაში მოხდება მგლების განადგურება –ამის ნებართვა გვაქვს; რაც შეეხება ხეტყეს, კანონს უნდა დავემორჩილოთ– მუნიციპალიტეტს მხოლოდ საკარმიდამო ფართობებზე აქვთ ხის მოჭრის ნებართვის გაცემის უფლება. ჩვენ ბაილეთელთა ყველა პრობლემის გადაჭრაზე ვიზრუნებთ.

კრების შემდეგ გამგებელმა საბავშო ბაღი მოინახულა.

პროფკავშირული სიურპრიზები მრავალშვილიან დედებს

ალიონი. 11 მარტს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის და მისი თავმჯდომარის როზა გოგუაძის ორგანიზებით, გაზაფხულის დღესასწაულების აღსაღნიშნავად, ღონისძიება მოეწყო ქ. ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლაში. იყო ბევრი პოზიტივი, საინტერესო საკონცერტო ნომრები, სიურპრიზები. დაჯილდოვეს ახალბედა და მრავალშვილიანი დედები. ვრცელ მასალას ღონისძიების შესახებ მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.

აქცია უფასო სასადილოში

ალიონი. 8 მარტს, გურიის აგრობიზნესცენტრის წარმომადგენლებმა და 1-ლი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა 8 მარტი მიულოცეს ოზურგეთის მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს ბენეფიციარებს. შეხვედრა გამოვიდა ძალიან თბილი და თანაც სევდიანი. სტუმრებმა უფასო სასადილოს ბენეფიციარებს ტორტი და ყვავილები მაირთვეს.

აქცია მოეწყო პროექტის -"ხანდაზმულთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისა და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების კამპანია აჭარის რეგიონში" ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირი.

რატომ ეთქვა უარი ლევან მგელაძეს მის მიერ დაყენებული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანაზე

„ალიონი“. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს 7 მარტის სხდომის დასასრულს დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკრებულოს დეპუტატ ლევან მგელაძის განცხადება, რომელშიც ის ამბობს, რომ ყოფილი შპს „სავაჭრო ცენტრი“ გამარჯვებული აუდიტის მიერ არასრულფასოვნად იქნა შესწავლილი და შეფასებული. დეპუტატი მოითხოვს ამ საკითხთან დაკავშირებით დროებითი კომისიის შექმნას და კომპეტენტური აუდიტორის ან აუდიტორთა ჯგუფის მოწვევას.

საკრებულოს თავმჯდომარის გელა კობალაძის განმარტებით, საკითხი განიხილეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე და მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში მისი შეტანა, რადგან არ მიეკუთვნება საკრებულოს უფლებამოსილებას.

ლევან მგელაძემ წერილობითი პასუხი ითხოვა, რისი პირობაც იქვე მიიღო საკრებულოს თავმჯდომარისგან.

მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, სრულყოფილად ვბეჭდავთ როგორც საკრებულოს დეპუტატის ლევან მგელაძის განცხადებას, ისე საკრებულოს თავმჯდომარის გელა კობალაძის პასუხს:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **გელა კობალაძეს**

ბატონო გელა, როგორც თქვნთვის ცნობილია, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყოფილი შპს „სავაჭრო ცენტრის“ ტერიტორია და შენობა-ნაგებობები აუქციონის წესით გაიცა იჯარით. პირადად მე მივესალმები ინვესტორებისა და ინვესტიციების მოზიდვას ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ქალაქის ბიუჯეტის შესავსებად. აუქციონის ჩატარების წინაპირობაა აუქციონზე გასატანი ქონების შეფასება და საბაზრო ღირებულების დადგენა. ექსპერტებთან კონსულტაციის შემდეგ, მიმაჩნია, რომ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150017794 ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების აუდიტორული შემოწმებისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების მომსახურების შეყიდვა) გამარჯვებული აუდიტორის მიერ არასრულფასოვნად იქნა შესწავლილი და შეფასებული ზემოთ აღნიშნული ობიექტი. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლები საგრძნობლად შემცირდა.

ბატონო საკრებულოს თავმჯდომარე, მოვითხოვ შეიქმნას დროებითი კომისია და მოწვეული იქნას კომპეტენტური აუდიტორი ან აუდიტორთა ჯგუფი, რათა დადგინდეს ზემოთ აღნიშნული ობიექტის რეალური საბაზრო ღირებულება. ზემოთხსენებული საკითხი განსახილველად შეტანილ იქნას საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ლევან მგელაძე.**

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს **ლევან მგელაძეს**

ბატონ ლევან, თქვენი 2016 წლის 02 მარტის №46 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის 04 მარტის სხდომაზე განხილულ და შესწავლილ იქნა თქვენ მიერ განცხადებაში მოთხოვნილი საკითხი, რომელიც შეეხებოდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერით (SPA150017794ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ყოფილი შპს „სავაჭრო ცენტრის ტერიტორიისა და მასზედ არსებული შენობა-ნაგებობების აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესაბამისობის საკითხის განსახილველად შეტანილი ყოფილიყო საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 02 აგვისტოს №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დროებითი სამუშაო ჯგუფები იქმნება საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, ასევე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილებას მიეკუთვნება საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში შესყიდვების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამომდინარე აქედან, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ 2016 წლის 04 მარტის №6 საოქმო გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ თქვენ მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტა არ მიეკუთვნება საკრებულოს უფლებამოსილებას, ვინაიდან საკრებულო მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რადგან კანონი იმპერატიულად მიუთითებს, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფი იქმნება მხოლოს საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთა შესწავლის მიზნით

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 02 აგვისტოს №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკრებულოს ეცნობა მიმდინარე წლის 7 მარტის სხდომაზე.

აქვე განგიმარტავთ, რომ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ““ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 02 აგვისტოს №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკრებულოს, სხდომაზე დამსწრე უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლები სიითი შემადგენლობის 1/3-ისა, უფლება აქვს გააუქმოს ან ცვლილებები შეიტანოს საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებებში.

პატივისცემით,

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გელა კობალაძე.**

რეზონანსული კვირეული

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“, 1-8 მარტს ჩატარებული ქალთა უფლებების კვირეულით, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო არასამთავრობო ორგანიზაციაა მთელ საქართველოში.

„მე ვარ მალალა“

კვირეული დაიწყო მულტიკულტურულ/ლიტერატურულ კაფე „რვას+1-ში“ ლიდერთა სკოლის **Alumni Club**-ისა და ახალგაზრდული ცენტრის წევრების მიერ ჩვენება-განხილვით ფილმისა „მე ვარ მალალა“. ფილმი მოგვითხრობს მალალა იუსაფზაის, პაკისტანელი უფლებადამცველის ცხოვრებასა და მის აქტივიზმზე ქალთა უფლებების დაცვის სფეროში.

„50 ქალი საქართველოდან“ და „მატრონას კლუბი“

2 მარტს ხსენებულ კაფეში ახალგაზრდული ცენტრისა და ლიდერთა სკოლის წევრებმა საზოგადოებას გააცნეს 50 წარმატებული ქართველი ქალი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სფეროს განვითარებაში. ისაუბრეს ქალბატონ მატრონა გოგიტიძეზე, ვინაც, საქველმოქმედო აქციების გზით, გადაარჩინა დახურვას ოზურგეთის №4 სკოლა. გაგვაცნეს „მატრონას კლუბი“, რომლის მიზანი ახლაც საქველმოქმედო ხასიათისაა.

„მადონა“

მულტიკულტურულ/ლიტერატურულ კაფე „რვას+1-ში“ 3 მარტს აჩვენეს რეჟისორ ნინო გოგუასა და პროდიუსერ ნათია გულიაშვილის მიერ შექმნილი ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი „მადონა“. ფილმში მოთხრობილია ერთი ქალის ისტორია, რომელიც ავტობუსის მძღოლია. ის საზოგადოებაში არსებულ სირთულეებს არ უშინდება და განაგრძობს თავის საქმიანობას. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

ლექცია „თავისუფალი საუბრების“ ფორმატში

„რვას+1-მა“ 4 მარტს პუბლიცისტსა და მთარგმნელს ზაალ ჩხეიძეს უმასპინძლა, რომელმაც „თავისუფალი საუბრების“ ფორმატში ჩაატარა ლექცია თემაზე „ქალი პერსონაჟები ქართულ ლიტერატურაში“.

„ორი თავგადასავალის“ პრეზენტაცია

5 მარტს კაფეში იმდენმა კაცმა მოიყარა თავი, რომ „რვა+1“ მინიმუმ „რვას+-100“ გახდა. არც გაგვკვირვებია, რადგან ამ დღეს აქ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, პროზაიკოსისა და პოეტის გიორგი კეკელიძეს ახალი რომანის – „ორი თავგადასავალის“ პრეზენტაცია შედგა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ აღზრდილმა ამ უნიჭიერესმა ახალგაზრდა კაცმა წიგნის პრეზენტაციაზე მეტი დრო დამსწრე საზოგადოებასთან დისკუსიას დაუთმო.

„ოჯახში შრომის განაწილების კულტურა“

6 მარტს სოციოლოგიის პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა კვლევა „ოჯახში შრომის განაწილების კულტურა“, რომლის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა მეტად საინტერესო დისკუსია.

„ერთად დავიცვათ ქალთა უფლებები“

კვირეული დამთავრდა ზვანის სარაგბო სტადიონზე გამართული მორაგბეთა ტურნირით, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ჩემპიონატის ბ ლიგის გუნდები. სლოგანით „ერთად დავიცვათ ქალთა უფლებები“ ტურნირის მონაწილე მორაგბეებმა ვაჟკაცური შერკინებებით დააგვირგვინეს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ეს რეზონანსული კვირეული.

ქალი – მებრძოლი ანუ საუკუნოვანი საკითხავი

მზია ტრაპაიძე პროფესიით ექთანია, 15 წელიწადი ოზურგეთის სამშობიარო საავადმყოფოში მუშაობდა. მერე, როცა ცხოვრება აირია და სამუშაოს გარეშე დარჩა, 3 წელი თურქეთში უვლიდა მოხუცებს, შენიშნა, რომ მასაჟისტის პროფესია მოთხოვნადი იყო, ისწავლა და ოზურგეთში „სააქიმოში“ მუშაობაც დაიწყო, ხელშეკრულებით. გამომუშავებული თანხის ნაწილს ხელფასად აძლევენ.

მისი სახლი და სამსახური ერთი ქუჩის სხვადასხვა მხარეს, ერთმანეთის პირისპირ მდებარეობს. ისიც დღის პირველ ნახევარში სახლს გაჰყურებს ფანჯრიდან, ნაშუადღევს - პირიქით. შინ მოსული, პირველად ტელევიზორს ჩართავს. მისი ხმაურის ფონზე საქმიანობს. ამბობს, რომ მეუღლე ყველაფერში ეხმარება.

მზია ფულის ერთადერთი შემომტანია ოჯახში და საოჯახო საქმეების ძირითადი დაგეგმავ-შემსრულებელი. განვადებით შეიძინა სარეცხი მანქანა, გაზის გამათბობელი, გაზქურა...

მეუღლე ანტონ ტრაპაიძე, დაუსაქმებელია. ფიქრობს, რომ მისი ასაკისა და პროფესიის ადამიანის დასაქმება საქართველოში არ არის პერსპექტიული. პურის ტექნოლოგია, დიდი სტაჟით. თურქეთიდან ელოდება მოწვევას, ერთხელ იყო კიდეც იქ...

ოჯახი ადრე შექმნეს. უფრო სწორად, ანტონმა 18 წლის მზია მოიტაცა. მას სხვა გეგმა ჰქონდა, სწავლის გაგრძელებას, გინეკოლოგობას აპირებდა. ის-ის იყო, საფერშლო დაამთავრა წარმატებით... მშობლებმა არ ისურვეს „მონატაცების“ სახელდარქმეული ქალიშვილის დახსნა იძულებითი ქორწინებიდან. მაშინ ეს მიიჩნეოდა სწორად.

პირველად ძალიან უჭირდა... მეუღლემ განუცხადა არ მჭრიდება შენი ექიმობაო.

მეუღლის მშობლემა მათ სახლი შეუძინეს იქვე, მეზობლად. ქმარიც, თავადაც შრომობდა ახალი ბუდის მოსაწყობად, შეძლებულად ცხოვრობდნენ. სიყვარული როდის მოვიდა ვერ აკონკრეტებს. ორი შვილი ეყოლა, გოგო და ბიჭი. შემდეგ, გოგოს ჯანმრთელობის გამო გუდანაბადი აიკრა და ოჯახთან ერთად რიკოთს იქეთ, თბილისში დაიდო ბინა.

ანტონმა ბიზნესი აწყო. ყველაფერი წაღმა მიდიოდა კარგა ხანს, მერე კი გაკოტრება... სახლის გაყიდვა... ქმარმა ტაქსისტობა, ცოლმა ქუჩაში ყვავილების გაყიდვა დაიწყო.

ერთხელ კაცმა თქვა, ოზურგეთში სახლი იყიდება იაფადო. ქალი წავიდა, ნახა, იყიდა, გაარემონტა. არავინ დაუქირავებია. გაშპაკლა, შეღება, შპალერი ააკრა, ფანჯრები, კარები ჩასვა, სამუშაოს 80% საკუთარი ხელით შეასრულა. კერია გაათბო და მეუღლესაც მოუხმო. ეზოში თხილი გააშენეს... ქალიშვილი თბილისში გათხოვდა, სიძე კარგი შეხვდათ. ვაჟი მოსკოვში ცხოვრობს... ჯერ კიდევ.

შეიძლება მამაკაცები კვლავ საკუთარი ადგილის ძებნით არიან დაკავებული. მათი სახლის დიასახლისი მუდამ შრომაშია, სახლი, სამსახური, სათხილე, ბოსტანი... მშენებლობა და სახლის კეთილმოწყობაც მეუღლის გეგმის მიხედვით დაიწყო ანტონმა. კი, ბევრი იწვალა, გული არ გაუტეხავს, არ დაცემულა, შედეგსაც ხედავს.

ყოველ დილას მხნედ იწყებს, მადლიერია, რომ სამსახური აქვს. პაციენტებს გულითადად და საქმის სიყვარულით ემსახურება. სახლში დაბრუნებაც უხარია, სანამ მეუღლე სხვა ქვეყანაში გაემგზავრება, შინ სითბო და სიმყუდროვე მეტია და ვინ იცის, ხვალ იქნებ ყველაფერი უკეთ იყოს... ყოველშემთხვევაში მზია ამას ძალიან ეცდება.

ლია კილაძე

გურული ქალები საქართველოს პირველ პარლამენტში

მარი კოკოევი

10 მარტს დემოკრატიული ჩართულის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია-დისკუსია ისტორიული ქალი მოღვაწეების, ქრისტინე შარაშიძისა და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძის შესახებ. ქრისტინე შარაშიძე და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე იყვნენ ქართველი პოლიტიკოსები, წარმოშობით გურიიდან. ისინი 1919-1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები იყვნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ პროცესებში.

ლექციას უძღვებოდა ისტორიკოსი, მესამე საჯარო სკოლის დირექტორი, ნანა გაგუა. „ალიონი“ გთავაზობთ ნანა გაგუას ლექციის შემოკლებულ ვარიანტს.

პირველი საკანონმდებლო ორგანო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1919 წლებში ჩამოყალიბებული ეროვნული საბჭო იყო. პირველ პარლამენტში 4 პარტია და 130 დეპუტატი იყო. აქედან 4 ქალი. დამატებითი არჩევნების შედეგად ქალთა რაოდენობა 5-მდე გაიზარდა. აქედან ორი გურული იყო.

ქრისტინე შარაშიძე დაიბადა სოფელ ბახვში. პედაგოგთა ოჯახში. დედა-ნინა ქიქოძე. მამა-გიგო შარაშიძე. დაწყებითი განათლება ბახვის სოფლის სკოლაში მიიღო და სწავლა განაგრძო ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიაში. 1904 წელს რევოლუციური მოღვაწეობის გამო გარიცხეს გიმნაზიიდან. 1905-06 წლებში მონაწილეობს რევოლუციურ

გამოსვლებში, ამზადებს საგაზეთო სტატიებს. 1905 წელს სომეხ-თათართა შეტაკებისას თბილისში მონაწილეობდა ე.წ. მფრინავ რაზმში, სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილებს. რაც შეეხება მის პედაგოგიურ საქმიანობას-1907 წელს იყო ქუთაისის მარიამ ყაუხჩიშვილის კერძო გიმნაზიის მასწავლებელი. 1910-1911 წლებში – სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრი. 1917 წელს – ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი. 1919 წელს არჩეული იქნა სოციალ დემოკრატების დამფუძნებელი კრების წევრად და შედიოდა პრეზიდიუმის სამდივნოში.

1922 წელს 17 თებერვალს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა დემონსტრაციის მოწყობის მცდელობისთვის და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1922 წელს იგი ორჯერ დააპატიმრეს და გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო.

მოღვაწეობა: 1934-1964 წლებში - საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება, სახელწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, იყო მკვლევარი, შეისწავლა და დაამუშვა 1 500-ზე მეტი ხელნაწერი.

ლიზა ნაკაშიძე - ბოლქვაძე. დაიბადა 1885 წელს ოზურგეთის მაზრაში სოფელ საღმრთოში, აზნაურ იოსებ ნაკაშიძის ოჯახში.1904 წლი-

დან იყო სოციალ– დემოკრატთა პარტიის წევრი, 1907 წლიდან ამავე პარტიის გურიის კომიტეტის წევრი. 1907-1917 წ. დააპატიმრეს და გაძევეს ამიერკავკასიის ფარგლებიდან. 1917 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და აირჩიეს გურიის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარედ. 1919 წელს აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო შრომის კომისიის წევრი. 1923 წელს მენშევიკური პარტიის 78 წევრი დაუპატიმრეს მათ შორის ლიზა ნაკაშიძეც. იგი გადაასახლეს ურალში. 1924 წელს აჯანყების ჩახშობის შემდეგ რეპრესიები შეარბილეს და ლიზა გურიაში დაუბრუნეს. 1926 წელს ლიზა თბილისის ცკ–ს ხელმძღვანელი გახდა. მან დაამყარა კავშირები საზღვარგარეთის ბიუროსთან. ეხმარებოდა პოლიტ-პატიმრების ოჯახებს. 1926 წელს 3 წლით გადაასახლეს კრასნოიარკის მხარეში, სადაც რამდენჯერმე შეუცვალეს სასჯელი. 1933 წელს გათავისუფლდა ურალის მხარეში ცხოვრების უფლებით. 1936 წელს ლიზა კვლავ დააპატიმრეს კონტრრევოლუციური მოქმედებისა და მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროსთან კავშირის გამო. 1937 წელს 22 თებერვალს იგი დახვრიტეს.

ლექცია-დისკუსია გაიმართა ქალთა ისტორიისთვის ფარგლებში, რომელსაც პროგრამა **AGGESS**-ი და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები მიმდინარე წლის მარტში აღნიშნავენ. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ქალთა ისტორიის თვის ფარგლებში ასევე დაგეგმილია დოკუმენტური ფილმის „2014” ჩვენება და მწერალ თამთა მელაშვილის საჯარო ლექცია.

განცხადება

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი”-ს მიერ დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ლიხაურში ფერადი ლითონის ჩამოსხმის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია (ყოფილი ოზურგეთის ექსპერიმენტალური მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე). პირველ ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ტყვიის, აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამუშავება.

მოცემულ ეტაპზე მომზადებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სკოპინგის ანგარიში.

საზოგადოების წარმომადგენლებს, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობა, კოსტავას ქ. 1;
- შპს “ჯეო გადამამუშავებელი“-ს ოფისი, ქ. ოზურგეთი,სოფ. ლიხაური (ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხანა);
- ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

www.geo-recycling.com

ზემოთ აღნიშნულ ანგარიშზე საკუთარი მოსაზრებებისა და კომენტარების გაგზავნა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობა, კოსტავას ქ. №1
- შპს “ჯეო გადამამუშავებელი“-ს ოფისი, ქ. ოზურგეთი,სოფ. ლიხაური (ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხანა)
- **www.geo-recycling.com, georecyclingltd@gmail.com, salome@geo-recycling.com, salome_katamadze@yahoo.com**

„ნუ იქნები მსხვერპლი!“

ძალადობა ოჯახში თანამედროვე საზოგადოების სერიოზული პრობლემა და ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ იფორმაა. იგი იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, დეპრესიას, თვითშეფასების დაქვეითებას, შესაძლებელია ფატალური შედეგი. ხშირად მსხვერპლი ძალადობის პირისპირ მარტო რჩება და გამოსავალს ვერ ხედავს. თუმცა გამოსავალი ყოველთვის არსებობს. დახმარება შესაძლებელია. ძალადობა დაძლევადია დაბრძოლას საკუთარი უფლებებისათვის, საკუთარი კეთილდღეობისათვის ყოველთვის აქვს აზრი.

მიმდინარე წლის 7 მარტიდან ოზურგეთში ფუნქციონირება დაიწყო კრიზისულმა ცენტრმა, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლ და რისკჯგუფში მყოფ ქალებს მოემსახურება ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით. სერვისი ხორციელდება პროექტის - „ნუ იქნები მსხვერპლი!“- ფარგლებში. 5 თვის განმავლობაში ბენეფიციარები მიიღებენ მაქსიმალურად ხარისხიან და ეფექტურ სერვისს. პროექტს, ოზურგეთის მერიის დაფინანსებით, ახორციელებს ორგანიზაცია „გადარჩენილები მომავლისათვის“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „გადარჩენილები მომავლისათვის“ მადლობას უხდის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურს, სამსახურის უფროსს ქ-ნ მარინა ჯაფარიძეს, ქალაქის საკრებულოს, საზოგადოებაში არსებული ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული თანასწორობის პრობლემის რეალური ხედვისა და პრობლემის შემცირების მიზნით, პროექტის დაფინანსებისათვის.

სამწუხაროდ, პრობლემის სერიოზულობა სათანადოდ ვერ გააცნობიერეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, გამგეობისა და საკრებულოს შესაბამისმა სამსახურებმა, რომლებმაც საკუთარი გადაწყვეტილებით, შეგნებულად, თუ შეუგნებლად, უარი უთხრეს საკუთარ მოქალაქეებს (პროექტის დაფინანსება განისაზღვრებოდა უმცირესი ბიუჯეტით), კიდევ 5 თვით ესარგებლათ ზ. აღ. სერვისით. (მათი დაფინანსების შემთხვევაში პროექტი გაგრძელდებოდა 10 თვის განმავლობაში). მიუხედავად ამისა, პროექტის განხორციელების პერიოდში, ორგანიზაცია, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ქალაქ ოზურგეთის, არამედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ ქალს.

კრიზისული ცენტრის მისამართია: ქ. ოზურგეთი, გენიჩესკის ქ. №22

ტელ: 599 270 679; 551153 517.

იოქშირისა და ლანდრასის პირველი ნამატები წითელმთაში

ალიონი. მეცხოველეობის დარგში ა(ა)იპ ფერმერული მეურნეობის ცენტრის სპეციალისტის თამაზ კილაძის ინფორმაციით, სოფელ წითელმთაში ოჯახურ ფერმერულ მეურნეობებში, ხელოვნური განაყოფიერებით, მიღებულია ღორის უცხოური ჯიშების იოქშირისა და ლანდრასის პირველი ნამატი.

,,ხელოვნური განაყოფიერება ის მეთოდია, რომლითაც შესაძლებელია, მოიხსნას მეღორეობაში ყველაზე დიდი პრობლემა - გაჩნდეს მომაკდინებელი დაავადებებისადმი მედეგი, ამავე დროს, მაღალპროდუქტიული ცხოველები. ეს მეთოდი რამდენიმე სოფელში დავნერგეთ. პირველი ნამატი მიიღეს უკვე წითელმთაში მცხოვრებმა ფერმერებმა, თოდრაძემ და კოპლატაძემ, რომელთა ფერმერულ მეურნეობებს შესაბამისად იოქშირისა და ლანდრასის 10-10 გოჭი შეემატა. ნამატი საღი და ჯანმრთელია'',— თქვა ,,ალიონთან'' საუბარში თამაზ კილაძემ.

სასაფლაოს პატრონი გამოუჩნდა

საფლავების მოვლა-პატრონობა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა. ეს არის უდიდესი მადლი, რადგანაც ამ საფლავებში ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების, წინაპრების, ბებია-ბაბუების, მშობლების, საყვარელი ახლობლებისა თუ მეგობრების ძვლები მარხია. საფლავების მოვლით ვავლენთ მათდამი უღრმეს პატივისცემას და სულიერად კმაყოფილები ვრჩებით. მახსენდება პოეტ საფო მგელაძის სტრიქონები ლექსიდან ,,ფიქრები დედის საფლავთან'':

,,ეს სოფელი ასე არის,
მიდიან და მოდიან,
ჩემი გულის ფეთქვა ახლავს
ამ სამარეს ლოდიანს,
ამ პატარა მიწის ნაჭერს,
იასამნის ტოტიანს''.

სოფელ ბოხვაურის სასაფლაო, ძველი მეპატრონე რომ გარდაეცვალა, წლების მანძილზე მიტოვებული, მოუწესრიგებელი და დაუსუფთავებელი იყო. ეზოში ხშირად ძოვდა საქონელი, საფლავები კი გვიმრითა და ეკალ-ბარდით იყო გადაფარული. ხანდახან, ისიც დღესასწაულის დღეებში, სასაფლაოს და მის შემოგარენს ახლო-მახლო მცხოვრები კეთილი ადამიანები თუ ასუფთავებდნენ.

დღეს იქაურობას ახალი, კარგი პატრონი გამოუჩნდა. სოფლის მკვიდრი ჯონი კელაძე ძალ-ღონეს არ იშურებს და საქმეს გულისყურით ეკიდება. მოსახლეობის გვერში დგომით, მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა სასაფლაოს მოვლა პატრონობაზე. ბოხვაურელთა ძვალთშესალაგს უკვე დაეტყო მზრუნველი ხელი.

ნანა ჯანხოთელი,
სოფ. ბოხვაური

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის განცხადება

ქალაქ ოზურგეთში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდა, მიმდინარეობს აბონენტების ახალ ქსელზე დაერთების პროცესი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე წყალმომარაგების ქსელი სრულად შეიცვლება.

ვინაიდან სისტემის განახლების შემდეგ წყლის ხარისხთან ერთად გაუმჯობესდება და მოიმატებს წყლის მოწოდების სიმძლავრე და წნევა, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აბონენტებს მოუწოდებს შეამოწმონ და საჭიროების შემთხვევაში განაახლონ სახლში არსებული წყლის მილების სისტემა, რათა აღნიშნული სისტემა შესაბამისობაში იყოს წყლის მოწოდების სიმძლავრესთან და თავიდან იქნეს აცილებული შიდა ქსელში მოძველებული მილების გამო წყლის გაჟონვის შემთხვევები.

იყიდება

ოზურგეთის ცენტრში 300-კაციანი დარბაზი.

იყიდება

46 კვ. მ ფართის მაღაზია სათავსო ფართით 48 კვ. მ.

ტელ. 555 75 42 09.

სკანვორდი



№ 10-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — უილიამ ფოლკნერი; მარსის თანამგზავრი — დეიმოსი; ღვინო — ნუნუა, ქალის სახელი — ნონა; თუთიყუში — კაკადუ; მარგარინი — ონა; ... და შვიდი ჯუჯა — ფიფქია; ხორცის კერძი — აზუ; ინგლისელი ფეხბურთელი — ლი; ბილიარდის ჯოხი — კია; მიწის ზომის ერთეული — ადლი; რძის ნაწარმი — დო, ეკალიპტის ჯიში — მანნა; მოკლე წერილი — ბარათი; მწერალი ... მიქავა — უტუ; მავნე ჩვეა — მანია; დიახ მეგრულად — ქო; ამორძალები — ამაძონები; არასრულწლოვანი — ბავშვი; ესპანეთის დედაქალაქი — მადრიდი; ქართული ვაშლის ჯიში — აბილაური; ... არენინა — ანა; აჩრდილი - ლანდი; ქუსლსუსტი რაინდი — აქილევსი; ქალაქი რაჭაში — ონი; პორტუგალიის დედაქალაქი — ლისაბონი; პირველი სამნიშნა რიცხვი — ასი; აკვარიუმის თევზი — აბუდეფდუფი; მეორე ნოტი — რე; სახლის ნაწილი — აივანი; ქალაქი იმერეთში — ვანი; დარ მოფერებით — დია; ერთგვარი ნამცხვარი შუ; ...მე, უი შენ — ვაი; მყინვარი კავკასიონის ქედზე — დეკდორაკი; მანდარინის ჯიში — უნშიუ; გალეული ტბა თბილისში — ლისი; მუსიკით გატაცება — მელომანია; ქართველი წმინდანი — ილია.

ფირალთა თარეში გურიაში - საწყისი ეტაპი

დასაწყისი იხილეთ №9 2016 წ

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი

ოზურგეთის მაზრის ბოროტგანმზრახველთა უსტაბაში ოტია დადიანი, რომელიც მაზრის ბედ-იღბალს გოგია ლომჯარიას ფირალად ყოფნის ზეობაში განაგებდა, არავითარ შეუფერებელ ღონისძიებას არ თაკილობდა კაპიტალის პირველდაგროვების განხორციელების მიზნით.

იმავე „ივერიის“ ცნობით „უწინ ოზურგეთის მაზრის უფროსი იყო ვახრამოვი, მერე ოტია დადიანი. მისი მაზრის უფროსობის დროს ფული იყო მოკრეფილი ოზურგეთის საქალებო სკოლის გახსნისათვის - 1000 მანეთი. თავმჯდომარეებად ამ საქმისა იყვნენ ჯერ სოფიო გურიელისა და შემდგომ მაკა წულუკიძისა.

სამწუხაროდ ესენი არ ზრუნავდნენ მინდობილი საქმისათვის. სკოლის გახსნისათვის შეგროვებული ფული მიბარებული აქვს მაზრის უფროსს ოტია დადიანს. ამ უკანასკნელთ მაზრის უფროსისათვის ფულის მოთხოვნა ვერ გაუბედიათ: „ვაი თუ დადიანს ეწყინოსო“

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორს არლოვს ამ სკოლის გახსნის საქმე მუნდა აქაურ სამოქალაქო სკოლის დირექტორ ბირშტისათვის. მაზრის უფროს დადიანისგან ალბათ იგი გამოითხოვს ხსენებულ თანხას. სამწუხაროდ ბირშერტი დადიანზე უაზრესი აღმოჩნდა. მან დადიანისათვის მიბარებულ 1000 მანეთს სკოლის გახსნის საქმისადმი შეგროვილ სხვა 1500 მანეთიც დაუმატა საკუთარი საჭიროებისათვის... სასკოლად ბირშეტს მხოლოდ 10 დღით დატოვება გადაუწყიტეს“.

მაზრაში შექმნილი ავაზაკობითა და განუკითხობით ისარგებლა „ბუდამ გარე ვაჭრობის საქმეებში ჩაბმულმა გოგია ლომჯარიამ და გუნებაში ანტონ ნაკაშიძის სიკვდილი გადაწყვიტა. ანტონი სასამართლოში აპირებდა ხარის ქურდობაში ლომჯარიას მონაწილეობის საქმის განხილვას, რომლის საბალალო შედეგსაც წინასწარ გრძნობდა ლომჯარია.

გამოსავალი ერთად ერთი ჰქონდა. ანტონ ნაკაშიძე იმქვეყნად უნდა გაესტუმრებინა. თოფიარაღ საჭურველი სახლში ჰქონდა. მისი „ყოფაღლა“ ათას ნაბიჯზე აწვდენდა ტყეას. მიზანი გოგიამ უტყუარი იცოდა. გაფრენილ ბელურას უწევდა მისი ნასროლი. ფეხდაფეხ თუ ცხენდაცხენ მოარული ანტონი რა „ბედნა“ უნდა ყოფილიყო მისთვის. „საპარასკეოზე“ გავიდა ლომჯარია. თყეია-წამალი მოიმარაგა. 1881 წლის 19 ნოემბერი იდგა. შაბათი დღე, საღამოს ექვსი საათი. „გადაუჯდა ქუთაისში გუბერნატორთან ტროიკით მიმავალ ანტონ ნაკაშიძეს გაკირულ ბოგასთან. ესროლა ყოფაღლა და მოკლა“

ნაკაშიძის მკვლელობის ამბავი ელვისებურად მოედო ქვეყანას. 1881 წლის 24 ნოემბერს ნაკაშიძის მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ გაზ. „დროება“ წერდა: „გურიიდან ტელეგრამა მოგვივიდა, რომ გუშინწინ, შაბათს, ერთს აქაურ ავაზაკს მოუკლავს თოფით ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწე თავადი ანტონ ნაკაშიძე. მკვლელი დღესაც გაქცეულია. „თავადი ანტონ ნაკაშიძე მოკლეს 19 ნოემბერს საღამოს მეექვსე საათზე. თავის სახლიდან ორას საჟენის სიშორეზე... მკვლელი სოფელ შემოქმედის მცხოვრები გოგია ლომჯარიაა“. მკვლელობის თაობაზე ქუთაისის გუბერნატორიც ჩამოვიდა ოზურგეთში მდგომარეობის გამოსარკვევად.

გუბერნატორის უპირველესი რისხვა თავად ნაკაშიძის მკვლელობის გამო მაზრის უფროსს ოტია დადიანს დაატყდა თავს, მისივე უხეირო თავკაცობისა და ავაზაკებთან კავშირის გამო აპოლონ წულაძე მოგვითხრობს:

„ოტია დადიანი იყო ოზურგეთის მაზრის უფროსად. საჩივრით დაითხოვეს. ატატო ბუბურიშვილის ქალმა ლექსი მისწერა:

თაგვები დარაზმულიყვნენ, სულ ყველა ფორმით ჩაცმული,
სტროლნენ შენგნით მოკვლებით, შენგან გვაქვს სული ჩადგმული.
მწირველათ მელა მიყვდათ, ზედაშე სურით დადგმული
დიკენთ ჭიანჭველები გალობა უთხრეს მასხრული.
წინ წყალი უკან მწყური, მე მიმინო და შენ მწყური,
კატაკ, შენ რათ არ იცანი, ადგილი პირველის საწერი,
არსად გაუშვი ქათები არც სადმე ხორცის ნაჭერი,
ყველა ქვრივს და გაჭირვებულს, შენ შეუჭამე საჭმელი
პანლურ - პანჩურით გაგაგდეს, აწი მშვიდობით პარტენი.“.

თავად ანტონ ნაკაშიძის სახით, როგორც გურიამ, ასევე ქართულმა საზოგადოებამ არა მარტო ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწე, არამედ ჭეშმარიტი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე დაჰკარგა. იმ უკაცურ დროს, იგი ვითარცა სვეტი ნათლისა, სათავეში ედგა მთელ გურიაში კულტურულსაგანმანათლებლო საქმიანობას. პოლიციელი პატრონობდა სკოლებს - ეს კი მართლაც წარმოუდგენელი რამ იყო გურიაში ავაზაკთა მძლავრობის ჟამს.

თვალი გადავავლოთ თავად განსვენებულის ავტობიოგრაფიის ერთ მცირეოდენ მონაკვეთს. ოზურგეთის მაზრის უფროსის ყოფილი თანაშემწე გვაუწყებს: „მე ვმსახურობდი გურიაში 1872-1874 წლებში, პოლიციის ბოქაულად. ყოველი სოფლების ჩამოვლაზედ, ყველგან და ყოველთვის ყოვლის უმალ სკოლების გამართვაზე და უკეთ მოწყობაზედ დავიწყებდი ხოლმე, ხალხთან ლაპარაკს ჯეროვანის ახსნითა და შეგონებით ამაზედ მგალითების მოყვანათა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას, მასთან ხან ბრძანებით, და წინადადებით ხან თხოვნითა და ვედრებითა ვაჩქარებდი ხალხში დროულად მსწავლებლის საჯამაგირო ფულების შეგროვებას, ვიწვევდი საზოგადოდ ამ საქმეში მონაწილეთ გარეშე წოდების პირებსაც, ეი. თავად-აზნაურობასა და სამღვდელოებას. ამგვარი ზრუნვითა და მეცადინეობით. კარგად წავიდა გურიაში სწავლა-განათლების საქმე. საცა შკოლა სრულებით არ არსებობდა, მაგ. ნიგოითსა და ჯურუყეთში, ჯუმათსა და სხვაგან, იქ გაუმჯობესებულ იქნა. ამაში ქუთაისის სახალხო შკოლების ზედამხველი უფალი ტროიეც დამემოწმება, მაგრამ რა მდგომარეობაა დღეს გურიის სახალხო შკოლებში ამას ნათლად დაგვანახებს 1876 წლის ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორის ინსპექტორის ანგარიშებისგან“

1876 წლის გაზ. „დროება“ ანტონ ნაკაშიძის შესახებ აღნიშნავდა: „ანტონ ნაკაშიძის ოზურგეთში ყოფნის დროს ის ყოფილა მაზრის სკოლების მზრუნველი. მისი ფოთში გადაყვანის გამო მის მაგივრად დანიშნული იქნა დ. ჯაყელი. ნაკაშიძის თაოსნობით ფოთში გაიმართა 7 სკოლა“

საინტერესოა თავად ნაკაშიძის მიერ სახალხო სკოლების მზრუნველობის შესახებ გაზ. „დროების“ მომდევნო ინფორმაცია: „ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი ბერძენი, პანტელეიმონ საულიდი ანტონ ნაკაშიძის შემწეობით ერთკლასიან ელემენტალურ სასწავლებელს ხსნის.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თავად ანტონ ნაკაშიძეს ჩვენ, მაშინვე გურიაში სახალხო განათლებაზე ჩამოვარდება ხოლმე საუბარი“.

1881 წლის 21 ივლისს სოფელ ჯუმათის მკვიდრი, ივანე კილაძე გაზ. „დროების“ საშუალებით საზოგადოებას აუწყებდა: „ჯუმათის საზოგადოებამ ყველა მახლობელი საზოგადოების უმალ დაარსა სკოლა, ააშენა სკოლის სახლი და იმეცადინა, რომ მათის მხრით დაბრკოლება არ მისცემოდა სკოლას, მაგრამ საუბედუროდ სკოლამ ფეხი ვერარ გადადგა. სამწუხაროდ ჯუმათის მცხოვრებნი ამ საქმეში მამასახლისისგან მოელიან დახმარებას, რომელიც მხოლოდ თავის ჯიბის შევსებას ცდილობდა და საზოგადო მოთხოვნილებაზე კი თავს არ იწუხებს.

აქაურ საზოგადოებას იმედი აქვს რომ მაზრის უფროსის თანაშემწე ბატონი ანტონ ნაკაშიძე ყურადღებას მიაქცევს ამ სკოლის საქმეს და რაიმე შემწეობას აღმოუჩენს ჯუმათის საზოგადოებას“.

სამწუხაროდ, თავად ნაკაშიძეს აღარ დასცალდა ჯუმათის სკოლის წინსვლის მიზნით შემწეობის აღმოჩენა, იგი გასაფირალებლად გამზადებულ გოგია ლომჯარიას ყოფაღლა თოფის ტყვიამ იმსხვერპლა საკუთარი საცხოვრებლის მახლობლად.

ამ საშინელი მკვლელობისა და იმხანად გურიაში გავრცელებული ძარცვა-გლეჯის და ავაზაკობის შესახებ ანტონ ნაკაშიძის ძმა-მალიტონ ნაკაშიძე წერდა:

„თუ ასეთმა მდგომარეობამ, რომელიც ახლა იდგამს ფეხს ჩვენში - ხალხის ხელში და გულში გასტანა კიდეც ათიოდე წელი, შემდეგ ჩვენი საქმე წასულია. ხალხმა თუ ერთხელ დაკარგა ზრდილობა, თავმყვარეობა, ზნეობრივი სიფაქიზე, უფროსისადმი მორიდება, მერმე მისი გამბრუნება, საიმედო გზაზე დაყენება შეუძლებელი იქნება“

ანტონ ნაკაშიძის ვერაგული მკვლელობის შემდეგ გოგია ლომჯარიამ ტყეს მისცა თავი. ამიერიდან იგი „ოფიციალურ ფირალთა რიგში იქნა ახარისხებული“. მისი სახელის ხსენება შიშს გვრიდა სტრაჟნიკებსა და ადმინისტრაციის მსახურთ. 20 წლის გაფირალდა. ოთხი წელი ფირალობდა 1882 წლიდან ვიდრე 1886 წლამდე.

ძმად და მეკავშირედ მასავით გავარდნილი დათულია სურგულაძე ჰყავდა. 1882 წლის 1 მარტს შუა რიცხვებამდე ისინი ხმაშეწყობილად მოქმედებდნენ, ავაზაკობით თანაც ბლომად მოიპოვეს.

დათულია სოფელ მაკვანეთიდან იყო. რა იყო მისი გაფირალების მიზეზი არავინ უწყის. ხალხში დიდი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა დაგდებული. „თხემით ტერფამდე“ იარაღში ოჯდა. ისე როგორც გოგია ლომჯარიას, მასაც კაი ჩაცმა-დახურვა უყვარდა. ამან იმსხვერპლა კიდეც.

1882 წლის 18 მარტი იდგა. დათულია სურგულაძე და გოგია ლომჯარია სოფელ წითელმთაში ერთი ნაცნობი და სანდო გლეხის ოჯახში მივიდნენ. დიდძალი ფული შეაძლიეს და ქალაქ ბათუმს გაგზავნეს სირმებით გაწყობილი ჩაქურების შესაძენად. საინტერესო ფაქტია. ავაზაკობდნენ და მაინც ხეირიან ჩაცმა-დახურვაზე“ ფიქრობდნენ. თოფ-იარაღში ჩამჯდარ-ჩასილაღებულნი თავს იწონებდნენ. ვაგლახად არავის ეჩვენებოდნენ. შესამოსელ-შესაიარაღებელ თანხას, რა თქმა უნდა ძარცვა-გლეჯით შოულობდნენ. წინადადგე შემთხვევაში ტყეში „გაჭრილ-გავარდნილებს“ ხელფასსა და ჯამაგირს არავინ დაუნიშნავდა.

ლომჯარიას ნაცნობი და სანდო გლეხი სოფელ წითელმთიდან უნდო და „უკარგისი“ აღმოჩნდა. ეტყობა „ფირალების თავზე გადაყოლა“, მუდამყამს „ზაკუსკისა“ და „ვაშამის კეთება“ მასაც ყელში ამოუვიდა. სირმიანი ჩაქურების საყიდლად გატანებული ფული „ბულის ჯიბეში“ შეინახა, თავად კი შტაბ-კაპიტან ივანე დუმბაძეს ეახლა და საკუთარ ოჯახში „შეფარებული“ გოგია ლომჯარიას და დათულია სურგულაძის ამბავი უამბო.

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

ციური ნაცვალაძის ხსოვნას!

გავიდა ტკივილიანი 40 ძალას დღე .. უშენოდ ცრემლითა და მონატრებით. შენი უეცრად წასვლა გულმკვდარი დედისთვის მოუშუშებელი იარაა, რომელიც უჩუმრად, გულის სიღრმეში დასადგურებული ტკივილით, ცრემლითა და სევდით მოუთმენლად ელოდება შენთან შეხვედრას. ჩვენო კეთილო და სათნო ციური, შენ ხომ საოცრად დიდი სიყვარული დატოვე. გადის დრო და ჩვენ თანდათან გვიმძიმს უშენობა, გვენანები. აკლიხარ უკლებლივ ყველას ვინც კი გიცნობდა. გაზაფხული იკრებს, ცოცხლდება და ბუნება მწვანე სამოსს იცმევს, თან როგორ ძალიან გიყვარდა წელიწადის ეს დრო. საოცრად ეფერებოდი შენს ეზოში ყველა ხესა და ყვავილს. შენი შვილები და შვილიშვილები დიდი სიყვარულითა და ტკივილით გიგონებენ. ყველანი ვლოცულობთ შენი სულისთვის, რათა უფალმა მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული!

შენი **ოჯახი!**

მონატრება

რომ ამბობენ დრო ტკივილებს განკურნავსო,
მეც მჯეროდა, არ ყოფილა მართალი,
ყინვა წყაროდ დაედინა ნაპრალებში,
ჩემში ისევ დარჩა ცივი ზამთარი.
მტანჯა დრომ და მტანჯა წლებმა უშენობის,
შენს გარეშე მერამდენედ იმარტა,
ყვავილთ მეფეც შენს საფლავზე დავახალე,
უშენობამ ჩემში სამჯერ იმატა.
დარდს და ტკივილს, ცრემლსა და სევდას ჩემო ნონი,
მონატრებას არ ჰქონია საზღვარი,
ყველგან გეძებ, ფიქრით ცხადში თუ სიზმარში,
ვერ ვიპოვე ქალი შენი სადარი.
დამტოვებდი, როგორ გრძნობდი ყოველივეს,
ახლა ვხდები სასწაული იყავი,
ვიცი როგორც ღვთისმშობელი დაიბადე,
მაგრამ, ნუთუ უნდა წასულიყავი.

რევაზ ჩიკაშუა.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“
1 თვით — 2 ლარი
6 თვით — 12 ლარი
1 წლით — 24 ლარი

პოეზია ქალბატონებისგან

მარი კოკოევი



8 მარტს, ოზურგეთში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ოზურგეთელი ქალების პოეზიის საღამო გაიმართა. საკუთარი ლექსები წაიკითხეს მარინა ჩიხლაძემ, ხათუნა შარაძემ, თამთა სვანიძემ, ეთერ ქადეიშვილმა, დოდო დონაძემ, მიკო ღლონტმა, სოფო ღლონტმა, ბელა კიკვაძემ და ანა ვჯაბუამ მართალია, საღამოს ვერ დესწრნენ, მაგრამ ლექსები „გამოგზავნეს“ ჟურნალისტებმა ნინო ნიკოლაიშვილმა და თეა იოსელიანმა. მათი ლექსების წაკითხვა საღამოს ორგანიზატორმა გიორგი გირკელიძემ „იკისრა“.

უმეტესობისთვის საზოგადოების წინაშე საკუთარი ლექსის კითხვა უცხო არ იყო. რამდენიმესთვის კი დებიუტი გახლდათ.

საღამოს ბოლოსთვის სიურპრიზად მეათე კლასის მოსწავლის, მეორე სკოლელი ნიკოლოზ შაფაქიძის ლექსი მოიტოვეს. გვითხრა „ჩემს ნაჯღაბნს“ წავიკითხავო და აი ისიც:

ლექსის გაჩენა

დილა მოწრუპა საათმა ისევ,
ცას დაფლეთილი ჰქონია გული
და როგორც წვიმით
დაღლილი ძაღლი
ამტებ ღამეს ერთ ეულ ყმუილს...
სისხლისფერია თოვლი ამღამ,
რადგან ამ თოვლზე იშმობიარე
და გაჩინე ლექსი პატარა,
წვიმიან ღამეს რომ მიაბარე...
პატარა თითებს ერთ თითზე გზვეცდა,
ვერ უშობელი ლექსი პირველი,
თვითონ ავსებდა კიჩოს და ვემბანს,
როგორც დაღლილი სუსტი ფრინველი...
მთვარე გიყურებს მუქი ფანჯრიდან,
თან ცხვირს ვიბზუებს ავად და ურცხვად
აინტერესებს, რა საჭიროა
ლექსის საშობად ამდენი კრუნჩხვა...
ფიქრობ და სბანს იხუტებ გულში,
დაადე კედელს ერთი აგური
და გიცდის სადღაც უშობი ლექსი
მდუმარე სევდით ვით ნავსადგური...

საღამოზე რამდენიმე სიმღერა შეასრულა კვარტეტმა „გამმ“. ღონისძიება გაიმართა პროექტის „ხმა მიეცი თანასწორობას“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ და ოზურგეთის გენდერის მედიაცენტრი აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით. საღამოს პარტნიორი იყო სავაჭრო სახლი „მოდერნი 2009".

„მერცხალმა“ სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუარესა

ალიონი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერია ყველაფერს აკეთებს ოზურგეთის „მერცხალის“ ფინანსური მხარდაჭერისათვის, მიუხედავად მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებისა, „მერცხალის“ მდგომარება დღითი დღე უარესდება. სატურნირო ცხრილში „მერცხალი“ სატურნირო ცხრილის ბოლო გრაფას მიეჯაჭვა.

21-ე ტურში „მერცხალს“ მძიმე გასვლითი მატჩი ჰქონდა ტყიბულში, ადგილობრივ „მეშახტესთან“. როგორც გვითხრეს, ოზურგეთელს ურიგოდ არ უთამაშიათ, მაგრამ დამარცხებულებმა (0:1) დატოვეს მინდორი.

21 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის ბოლო „ხუთეული“ ასე გამოიყურება: ხონის „იმერეთი“-23 ქულა; „ჭიათურა“- 21 ქულა; ხარაგოულის „ჩხერიმელა“- 20 ქულა; „ალგეთი“- 16 ქულა; „მერცხალი“-13 ქულა.

ოზურგეთელი ნორჩი მოჭადრაკეები ლიდერობენ

ალიონი. ქალაქ ფოთში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა (I ლიგა, დასავლეთი ზონა) ჩემპიონატი ჭადრაკში 8, 10, 12 წლის მოჭადრაკეებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ წარმომადგენლობით ტურნირზე (150-ზე მეტი მონაწილე) კარგად ასპარეზობენ ოზურგეთელი ნორჩი მოჭადრაკეები.

10 წლის მოჭადრაკეებს შორის, 6 ტურის შემდეგ გოგონათა შორის ოზურგეთელი ანა მეგრელაძე დაწინაურდა, რომელსაც 4,5 ქულა ჰქონდა. აბსოლუტურში იგი მე-2 ადგილზე იყო.

3,5 ქულით მე-3 საფეხურზე მარიამ ღლონტი იმყოფებოდა. 10 წლამდე ბიჭებს შორის 3,5 ქულით მე-5 ადგილზე იყო ოზურგეთელი გუგა კილაძე. (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე).

ტურნირი გუშინ, 13 მარტს დასრულდა.

სამრევლო სკოლაში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სპორტული დარბაზი გაიხსნა

ალიონი. ქსპეციალურად ამ დღესთან დაკავშირებით, ახალ დარბაზში ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2, 4 საჯარო სკოლებისა და ქალაქში მოქმედი ორი სამრევლო სკოლის მოსწავლეებმა სპორტის ხუთ სახეობაში „ძლიერული სტარტები” გამართეს.

აღნიშნული ღონისძიება ქალაქ ოზურგეთისმუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

შეხვედრას ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია დესწრნენ.

„მოხარული ვარ, რომ დღეს შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი ახალი სპორტული დარბაზი გაიხსნა, სადაც სკოლის მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ საინტერესო ღონისძიებები მოაწყონ. მადლობას ვუხდი მამა მათეს ასეთი გულითადი მოღვაწეობისათვის. ის ძალიან ბევრ საქმეს აკეთებს და არა მხოლოდ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სკოლაში. ჩვენი მხრიდან ამ სკოლას ყოველთვის იქნება მხარდაჭერა“ - განაცხადა ბეგლარ სიორიძემ.

სკოლის დირექციამ „ძლიერული სტარტები”- ს მონაწილეებს საჩუქრად წიგნები და საკანცელარიო ნივთები გადასცა.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ№ 11ა. (რ)

თორნიკე ონიანი საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორია

4-6 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში 2000-2001 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი.

60 კგ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა თორნიკე ონიანმა, რომელიც შეყვანილია საქართველოს ნაკრებ გუნდში, მწვრთნელი გოჩა ბურჭულაძე.

46 კგ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილისთვის დამარცხდა გელა ქურასბედიანი (მწვრთნელი დიმიტრი ტუღუში).

ოზურგეთელთა მონაგარი ზურაბ ბიბინეიშვილისა და ხვიჩა ცინცაბაძის ხსოვნის ტურნირზე

4-6 მარტს ჩოხატაურში ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპულ ზურაბ ბიბინეიშვილის და ხვიჩა ცინცაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის. ღონისძიებაში მონაწილეობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი.

58კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ლაბაძემ.; 69კგ წონით კატეგორიაში მეორე იყო ომარ სირაძე, ხოლო მესამე საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ 29კგ წონით კატეგორიაში – ლუკა ჯანელიძე, 42კგ წონით კატეგორიაში – გიორგი თოხაძე, 47კგ წონით კატეგორიაში – დათო შავაძე, 54 კგ წონით კატეგორიაში – საბა მამალაძე, 100 კგ წონით კატეგორიაში – კუკური ბარბაქაძე. გუნდი მოამზადა მწვრთნელმა დავით მაჭარაშვილმა.

ლიხაურის საჭიდაო სკოლის წარმატებები

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის საჭიდაო სკოლის აღსაზრდელებმა განაგრძობენ წარმატებით ასპარეზობას.

თებერვალში, ქ. მოსკოვში, ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრებმა ამ პრესტიჟულ ტურნირზე სამი მედალი აიღო, საიდანაც 2 ლიხაურელთა მონაგარი იყო. 54 კგ წონით კატეგორიაში მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდა ირაკლი ძიმისტარიშვილი; მძიმე წონაში საბა ცეცხლაძემ მე-3 ადგილი დაიკავა.

ამის შემდეგ ავსტრიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 60 კგ წონით კატეგორიაში მე-2 ადგილი დაიკავა ლიხაურელმა ლევან ქავჟარაძემ, ხოლო 55 კგ წონით კატეგორიაში მე-3 იყო ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის წარმომადგენელი დავით ჩხარტიშვილი.

ქ. თბილისში, ვ. მისურაძის ტურნირზე 54 კგ წონით კატეგორიაში ირაკლი ძიმისტარიშვილმა პირველი ადგილი დაიკავა; ტურნირის გამარჯვებული გახდა მძიმე წონაში საბა ცეცხლაძე, 69 კგ წონით კატეგორიაში კი ლუკა ზაქარიაძე მე-3 იყო.

გამარჯვებულ სპორტსმენებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყაძე შეხვდა და გამარჯვება მიულოცა.

ლიხაურელთა ამ მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს ალექსანდრე ბოლქვაძეს და ბექა ჩოფლიანს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

14 მარტი, ორშაბათი	15 მარტი, სამშაბათი	16 მარტი, ოთხშაბათი	17 მარტი, ხუთშაბათი	18 მარტი, პარასკევი	19 მარტი, შაბათი	20 მარტი, კვირა
მცირე წვიმა, +7+15	მცირე წვიმა, +2+8	მცირე წვიმა, 0+6	მზე, ღრუბელი +1+8	მზე, ღრუბელი +2+7	მზე, ღრუბელი +5+10	წვიმა, +3+6